სამშაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 29 (10) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან., [illegible] თვით 5 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 190 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 190

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

მთავარსარდალმა კორნილოვმა კერენსკის მოსთხოვა, მთავრობა ჩამაბარეო. კერენსკიმ კორნილოვის მთავარსარდლობა გენერალ კლემბოვსკის გადასცა და პეტროგრადში სამხედრო წესები გამოაცხადა.

პეტროგრადის ბანკები ნიჟნი-ნოვგოროდში გადააქვთ.

პეტროგრადში მარიამობისთვის 27-ს ხოცვა-ჟლეტას მოელოდნენ.

დროებითმა მთავრობამ თურქესტანელებს მიწის თავისუფლად მოხმარების ნება დართო.

რიბო ახალ სამინისტროს ადგენს საფრანგეთში.

ჰოლანდიასა, ინდოეთს და სამხრეთ აფრიკის შორის სამგზავრო მიმოსვლა განახლდა.

პეტროგრადში 5 მილიონიანი რუს-სომხური ბანკი დაარსდა.

სრულიად-რუსეთის საეკლესიო კრება და სამინისტრო ქართველების მიერ საეგზარხოსო სახლის დაჭერას აღშფოთებით შეხვდნენ.

წერილები

გ. ვეშაპელი. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

გერონტი ქიქოძე. კონტრ-რევოლუცია თუ ახალი რევოლუცია.

გრ. ყიფშიძე. ქართველთა მამულიშვილობის მოციქული.

შიო მღვიმელი. დიდ ილიას (ლექსი).

დ. კასრაძე. ახალი გამოლაშქრება ქართულ ეკლესიის წინააღმდეგ.

მ. ჯანაშვილი. კახეთში (დასასრული).

კორესპონდენცია: გურიიდან და ქართლიდან.

კნეინა ანნა ნიკოლოზის ასული და ელია დიმიტრის ძე ბეგთაბეგოვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დეიდასი

ანასტასია დავითის ასული ბაქრაძისა

გამოასვენებენ (მიცვალებულის ბინიდან ბაგრატიონის ქ. № 20) სამშაბათს 29 მარიამობისთვეს დილის 10 საათზე ანჩისხატის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

1—767—1

ეფემია დავითის ასული შატილოვისა, ალექსანდრა დიმიტრის ასული და მატრონა მათეს ასული ბაქრაძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დისა, ხოლო დანარჩენების მეულის

ანასტასია დავითის ასული ბაქრაძის

გარდაცვალებას.

გამოასვენებენ (მიცვალებულის ბინიდან ბაგრატიონის ქ. № 20) სამშაბათს 29 მარიამობისთვეს დილის 10 საათზე ანჩისხატის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1—767—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ პარტიის ბიურო გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი № 6 გოგიტიძის სახლი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—8-დე. აქვე არის პარტიის სამკითხველო დარბაზი.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

3—უ—1

ბათომის კომიტეტი

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოვუმატოთ, დღეიდან გაზეთის

თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.

ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს რომ სამშაბათს, 29 მარიამობისთვეს, ქართ. გიმნაზიის დარბაზში გაიმართება კრება საღ. 8 ს. კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამასთანავე ბ. გიორგი ჟურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათს მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუბარი კომიტეტის ხელ ახალი არჩევა.

ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების საფეიქრო

სკოლა-სახელოსნოში

(ქსოვა არშიის, ხალიჩ-ფარდაგის და სხვა) მიღება შეგირდების იწყობა პირველ სექტემბრიდგან.

ხარფუხი. სურპ-სარქისის ქუჩა № 48 განათლების სასწავლებელში.

1—766—1

სამუსიკო სასწავლებელი

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ

საზოგადოებისა.

(სოლოლაკის ქუჩა № 4).

მასწავლებელთა შემადგენლობა: **როიალის კლასისა**—აბელიშვილი ე. დ. ალეინიკოვა ვ. ვ., ანდრონიკაშვილი-ვასილიევისა მ. გ., კალაშნიკოვა ნ. ვ., ქიქოძე ე. გ., პოლტორაცკაია-მადათოვისა ე. ი., ფოგელი ე. ვ., **ვიოლინისა**—ვასილიევი მ. ც., ტიზენგაუზენი პ. ა., სიმღერის (solo)—კირილოვა გ. ი., კოლოტოვისა მ. ა., **ვიოლონჩელისა**—კოპელნიცკი ე. ნ., **კონტრბასისა**—პინსკი მ. დ. და **თეორიულ კლასებისა**—ზ. პ. ფალიაშვილი.

სწავლის გადასახადი—როიალის, ვიოლინოს, ვიოლონჩელის კლასებში—**110 მანეთი**, სიმღერის—**150 მ.**, კონტრბასის—**75 მ.**, თეორიულ კლასებში—**50 მ.** მოწაფეთა მიღება სწარმოებს 25 აგვისტოდან ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10—2-მდე და საღამ. 5—7-დე.

სწავლის დასაწყისი 4 სექტემბერს.

4—745—2

ახალი ქართული სრულ-უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა (ყოფილი სკოლა ჩერქეზიშვილისა).

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 11-ს, სწავლა კი ენკენისთვის 20-ს. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს. ნაშ. 1 საათამდე. მისამართი: ალექსეევის ქ. № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

2—765—2

პ უ რ ი

ვინაიდან ბევრმა 20 აგვისტოსთვის ვერ მოასწრო პურის ბარათების აღება, ამიტომ პურის ბარათებით გაყიდვა გადაიდო განუსაზღვრელ დროისთვის. ქალაქის სასურსათო კომიტეტს ამით უნდოდა, ყველას მიეღო ბარათები და უპუროდ არავინ დარჩენილიყო.

ამჟამად ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს ქალაქის მკვიდრთ, რომ ამა წლის **პირველ სექტემბრიდან ყველგან პური გაიყიდება მხოლოდ ბარათებით.**

რადგან საყოველთაო კრიზისია სურსათისა, აუცილებლად საჭირო იყო ბარათების შემოღება პირველ საჭიროების საგნების, განსაკუთრებით პურის.

ამიტომ ხმები, რომ ვითომც პურის ბარათები აღარ იქნებაო, მოკლებულია ყოველს საფუძველს.

მოქალაქენო დაიჩქარეთ და აიღეთ ბარათები აგვისტოს დამლევამდის.

ნუ დააგვიანებთ, თორემ ბევრი რომ მოაწყდენ ერთბაშად სასურსათო კომიტეტს, ბარათების მიღებას ვერ მოასწრებთ.

დაწესებულებათ ბარათებს მისცემენ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საპურო კომიტეტში თანახმ და დამოწმებულ სიისა, რომელიც უნდა წარადგინოს საგანგებოდ გაგზავნილმა პირმა.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—9

[illegible]

ძმ. [illegible]

[illegible] ქუჩა, საკუთარი სახ., № 8, ტელეფონი № 713.

[illegible] (ფ.)

სააავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირაძლოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონზე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—43

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. ქვარკველია.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 86, მეორე სართული.

ექიმი

გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—12)

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—7

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

4—748—თ.

ექიმი

გ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

ქალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს სინჯავს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. **მისამართი:** დიდი [illegible] ქუჩა № 67; [illegible] შენობის პირდაპირ; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—58.

ილია ჭავჭავაძე.
1907–1917 წ.

ქართველო ხელი ხმალს იკარ!

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის
ქვეყანა გვნუკავს შვილასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟკაცსა
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამოჩენილიც
მტერთან გულდაგულ ომია.
მამულის დახსნის არ მდომი
თავისა თავის მგმობია,
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს
ომში სიკვდილი სჯობია.
მაშ მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მასთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირე ნავს რად არხევ
ზვირთო წუთისოფლისავ!

. . . .

შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას
და იქ ჩაჰლუპავ ჩემს ნავს...

. . . .

ორსა ომლით მცურავსა
მე და ჩემს მცირე ნავსა,
ჰოი, გვედრებ მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!..

ეს პირველი სიმღერაა, ილია ჭავჭავაძისაგან თქმული... და ამ პირველ თქმაში მგოსანმა იგრძნო და წინასწარ იმეტყველა თავისი და თავისი სამშობლო ქვეყნის ბედი.

სამოცი წლის წინ საქართველოს „ნავი“ სიცოცხლის ეროვნულ მდინარეს გარეშე იდგა... განა თვით ილია არ იყო, რომ ჰკითხულობდა: „სად არის ქართველი და ქართველობაო?.. აჩქარებული კაცი გვიპასუხებს და გვეტყვის: ეს ჩვენი დედა ქალაქი და ეს შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდათ გარიგებული მისი შვილი—სოფლები ქართველები არ არიან? თბილისი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს... თქვენ მე ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა და სურვილი ერთად ხალისიანათ და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი, ქართველი აგერ არის მეთქი... მაგრამ შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი დიდი ხანია დაირღვა და ჩვენის გონებიდან ამოშრაო“.

ამ შემკრებელობითი დიდებული ერთიანი აზრის განმტკიცებას შესწირა ილიამ თავისი სიცოცხლე, ფიქრი, გრძნობა და ნება... საქართველოს „დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელ ფათერაკისგან“—აი რა იყო ილიას „მიმართულება“.

სულგანაბული უგდებდა პოეტი ყურს საქართველოს ძარღვის ცემას და ამას სჩიოდა:

„მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ
ეს არი,
...რომ შენ მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი
რომ ფიქრი მანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..“

ვინ იცის, იქნებ ერთად-ერთი ასეთი კაცი ის გულუბრყვილო მთიული ლელთ-ღუნია გახლდათ, რომელსაც ილია გამოელაპარაკა კავკავის გზით რომ ბრუნდებოდა რუსეთიდან საქართველოში. ილიამ ხომ კარგად იცოდა ხალხური ანდაზ: „ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში უნდა ეძიოთო!.“ მოხევემ აუცნო ილიას, თუ რატომ მოიშალა „ერთა საბჭო“:—„ძრიელა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით ეყვის უკეთ... აწინა... ერი დავარდნილ, გალახულ არი, ვრდომილ-კრთომილ... რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას, ცარიელ სტუმაქით... რაი არის მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არის მტრობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფისო“.

ილიაც ხომ ასე ფიქრობდა... მაგრამ მისი ნება ისევე უძლური იყო, როგორც ნება მის მშობელ ქართველი ერისა, „ქედ-დრეკილი, მტვერ-წაყრილი, მჭრის არ მცოდნე, არ რის მქონე მძიმე უღლით მორთული“ რომ იდგა უღელს ქვეშ...

ამაოდ ეძებდა პოეტი ერის მხსნელ გმირს მიწაზე და მისი სული უნებლიეთ ცას უწყებდა ვედრებას: „მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ეგე მამული! ჰოი სახიერო! ცისარტყულა გაავლე ცასა რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხთაო!..“

ილია ვერ მოესწრო ამ ცისარტყელის ხილვას, მაგრამ ილიას თვალებმა იხილეს, თუ როგორ დაიძრა ადგილიდან საქართველოს პატარა ნავი, და როგორ გაიყოლია იგი ზღვისაკენ გაქანებულმა მდინარემ.

ეს იყო ამ ათი წლის წინად როცა ომითა და შუნტით დაავადებულ რუსეთის სახელმწიფოში გაჩენილმა ახალმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ძალებმა ჩაითრიეს თავის საბედისწერო ბრძოლაში ქართველი ხალხიც.

მაგრამ რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, თუ ერთი სეკუნდის მონობამ უმთავრობო ერის შვილთ პოლიტიკური ნათლობის კანონები დაავიწყა და საქართველოს მესვეურებმა თავიდანვე ისეთი კურსი ვერ აიღეს როგორიც საჭირო იყო.

ამიტომ იყო რომ მთელი საქართველოს ეროვნული იდეა ვერ გაბატონდა მაშინ და ერთობის მაგიერ ჩვენი ქვეყანა წოდებრივ და კლასობრივ ბრძოლის მახრჩობელ კვამლში გაეხვია... ბევრი ჭირი ჰხვდა საქართველოს ამ ბრძოლის გაწვავების გამო, მაგრამ უდიდესი ჭირი ის იყო, რომ საზოგადოების ცხოვრების გახრწნილების და ანარქიის მსხვერპლად იქცა ილია ჭავჭავაძე.

ათმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც საქართველომ იხილა საშინელი სურათი პოეტის ავაზაკურ მკვლელობისა... იხილა და შეძრწუნდა... ტყუილად კი არ უთხრა აკაკიმ პოეტის ცხედარს: „ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირეო“.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა გადატეხა ქართველთა საზოგადოებრივი სულისკვეთება.

ილიას კუბოს წინ მოიდრიკეს მუხლი როგორც ნაციონალისტმა მიხ. წერეთელმა ისე სოციალისტმა კ. ჩხეიძემ...

მას აქეთ ქართველმა ერმა ბევრი რამ ისწავლა...

დღესაც პოეტის სიკვდილის 10 წლის თავზე, საქართველო მთელ რუსეთთან ერთად საბედისწერო ბრძოლაში არის ჩათრეული, მაგრამ ქართული გემი ახლა სწორი გზით მიდის და მისი მესაჭენიც შეთანხმებული არიან. დღეს საქართველოს დედა ქალაქის ძუძუ აღარ არის გამშრალი, და ერის საერთო ძარღვიც გამთელებულია. დღეს თვითეული ქართველის გზები ერთად შეყრილა საქართველოს ბედნიერებისათვის... დღეს ჩვენ არც ის დიდი ზღვა გვაშინებს, საითაც მიექანება საქართველოს გემი.

ჩვენ მხოლოდ იმას ვწუხვართ, რომ დიდი მამულიშვილი არა გვყავს ამ გემის კიდეზე.

გრიგოლ ვეშაპელი.

დიდ ილიას

დიდო ილიავ, ნატვრა შენი ახდა, ასრულდა,
შენს ერთან ერთად სხვათა ერიც „ერთ ფიქრსა ფიქრობს“:
ძმობას, ერთობას და სიყვარულს—მაცხოვრის მცნებას
დიდად აღვივებს, აძლიერებს და აღარ იქრობს
იმ ძალთა შიშით, ვინც მაცხოვრის ნაუწყებ ანდერძს
ჰფარავდა ბნელით, გარს ახვევდა ჯაჭვს და ბორკილებს;
დაიმსხვრა უცბად, დაილეწა გამქრალთან ერთად,
წითელი დროშა ხელთ უპყრავთ მებრძოლთა შვილებს...
დიდო ილიავ, ნატყვიარი შუბლი და გული
ტკივილს აღარ ჰგრძნობს, აღარ ჰშფოთავს და აღარ ჰკმინავს,
მაგრამ კი სული, სული შენი ბრძენი და ძლიერი
ვით უკვდავება ჩვენთან არის და ჩვენთან ჰფრენავს.
და უხარია რომ ასრულდა დიდი ნატვრა,
რასაც ფიქრობდი, ნეტარებით თვით სიკვდილამდე.
დიდო ილიავ ნატვრა შენი გადადის ლაღად
ერთ მშფოთარ ზღვიდამ ცელქ ტალღების სხვა მშფოთავ ზღვამდე...

—

მშვიდი და წყნარი, ვითომ წყნარი ბაზალეთის ტბაც
არტახებსა ჰხსნის მიბარებულ იმ ოქროს აკვანს,
სადაც ეძინა ყრმას მოქანცულს გამკრთალის ძილით,
ვისაც უკმევდი შენს სიყვარულს და სცემდი თაყვანს.

შიო მღვიმელი.

ქართველი მამულიშვილობის მოციქული და მისი მადლიანი კალამი

შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც წუთი-სოფელს გამოასალმეს მოციქული ეროვნულის იდეისა და ქართველთა გულის-ნადების მესაიდუმლე ილია ჭავჭავაძე. ათი წლის წინად ვერ დავიფარეთ მოხუცი და ღვაწლ-მოსილი კაცი გამხეცებულ ავაზაკთაგან, ვერ აუღეთ ალღო მაშინდელ მიზეზიანს ვითარებას და პირში მივეცით სიკვდილს ჩვენის გათვითცნობიერების მოციქული, დიდის ჭკუისა და ბუნების კაცი. და მასუკანაც განვაგრძობთ, აგერ ამოდენა ხანია, სამარცხვინო გულგრილობას მის მიმართ: ოდნავაც არ ვზრუნავთ სულ მცირე საქმე მაინც გავაკეთოთ, და თუ სხვას ვერას მოვახერხებთ, დავბეჭდოთ მაინც აუარებელი თხზულებანი ამ მებრძოლისა და მოამაგისა, რათა ამ გზით სავსებით შევისწავლოთ ამ კაცის ბუნება, ამაგი და ღვაწლი.

სირცხვილი ჩვენთვის, დიდი სირცხვილი, რომ ასეთი, ჩვენთვისვე გამოსადეგი, საქმე ვერ მოგვიხერხებია, ვერ მოგვიგვარებია.

მართალია, კერძო თაოსნობით დაიბეჭდა ლექსები და მოთხრობანი ილია ჭავჭავაძისა, მაგრამ ნუ თუ მისი ღვაწლი მხოლოდ ლექსების წერითა და სამიოდე შესანიშნავის მოთხრობის შექმნით განისაზღვრება მწერლობაში?..

ჩვენის ფიქრით, აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება მალე, დაიბეჭდოს სხვა მისი ნაწერებიცა, რომელიც უფრო ცხად-ჰყოფს მის დიდს ბუნებას, მის იშვიათს ლიტერატურულს ნიჭს, მის მადლიან კალმის ამაგს. მრავალი მისი წერილი, „შინაური მიმოხილვის“ სახით, გაფანტულია ჟურნალ „ივერიის“ ნომრებში, ბევრი საგაზეთო, მაგრამ საყურადღებო, წერილია მის დროსვე გადაწერილი და ცალკე ინახება „წერა-კითხვის“ წიგნთ-საცავში. ამას უნდა მიემატოს სხვა წერილებიც, რომელიც გადაუწერელი დარჩა და მოფანტულია სხვა ქართულ გაზეთებში. უნდა მიემატოს აგრეთვე სიტყვანი, წარმოთქმულნი სხვა და სხვა დროს საადგილ-მამულო ბანკის კრებაზედ, ან სხვა ადგილს ამა თუ იმ საყურადღებო საზოგადო საქმისათვის. ყოველივე ესე, ერთად თავმოყრილი, უნდა დაიყოს შინაარსის მიხედვით, და დაიბეჭდოს სრული კრებული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა.

ეს იქნება უკეთესი პატივისცემა დიდის მოამაგის ხსენებისა და თან უკეთესი ღონისძიება ამ დიდისა და ქართულის ბუნების კაცის სავსებით შესასწავლად. ასეთი შესწავლა მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზ მოღვაწისა მცირე სარგებლობას არ მოუტანს ქვეყანას, მეტადრე ახალგაზრდობას, რომელიც ძალიან ნაკლებად იცნობს ილია ჭავჭავაძეს და იმ ნახევარ საუკუნის საქმიანობას, რომელშიაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეს შესანიშნავი კაცი.

ბევრი, ძალიან ბევრი ჩვენ შორის, დღესაც ნაკლებად არის მიხვედრილი, რა მადლიანის კალმის პატრონი იყო ილია ჭავჭავაძე. ეს მადლიანობა კალმისა სჩანდა არა მარტო პოეზიასა და პოეტურ პროზაში, არამედ საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საეკონომიო წერილშიაც კი. დღევანდელს ვითარებაში, როცა ასე გადუხეირდა ჩვენი ქართული ენა, როცა ასე მოაკლდა ამ ენას ბრწყინვალება და თავისი ბუნებრივი ხასიათი, სწორედ მისწრება იქნება ისეთის მწერლის ნაწერები, რომელსაც უაღრესად აზის ბეჭედი მადლიანობისა, აზრის ნამდვილ ქართულით გამოთქმისა. ამ მხრივ, ილიას ნაწერების შესწავლა დიდსა და ნაყოფიერს შედეგს მოიტანს, რადგან არ ეგულება სხვა მწერალი ქართველთა შორის მთელ მეცხრამეტე საუკუნეში, რომელიც ილიაზედ მეტს ენაწყლიანობას, მეტს მადლიანობას იჩენდეს ქართულში.

ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გამოტეხით ვთქვა, რომ ეგ მადლიანობა ი. ჭავჭავაძის ქართულისა სავსებით ცხადი შეიქმნა ჩემთვის მხოლოდ ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადს, როცა უკვე მოხუცებას მივაღწიე. დააკვირდით ამ მხრივ მის ნაწერებს და თქვენთვისაც ცხადი შეიქმნება ეს გარემოება.

რაიცა შეეხება თვით ქართულის ღრმა ცოდნას ილია ჭავჭავაძის მიერ, მრავალ სხვა მაგალითებ შორის, მოვიხსენიებ ერთს, რომელიც მიამბო ამ დღეებში ერთ-ერთმა მისმა ნაცნობმა ახალგაზრდამ. ჩემს თარგმანში ილიას შეჰხვედროდა ერთს ადგილას ასეთი გამოთქმაო, — მითხრა ახალგაზრდამ: —დედა-კაცო,—ეუბნებოდა ალერსით გლეხი თავის ცოლს. ეს არ იქნებაო, ქართული არ არისო, როგორ სწერია რუსულ დედანშიო?—მკითხა ილიამ. რუსულში, უპასუხე მე—ასეა: жена, жена... და სხვ. ცოლი რომ დამეწერა უფრო არ ივარგებდა, აგრეთვე არ ივარგებდა: ქალო. მართალია, არც ეგ ივარგებდაო.—მაშ, როგორ უნდა ითარგმნოს მაგრეთის ალერსით მიმართვა?—ვკითხე გაოცებულმა.—როგორა და ასე: ჩემო საუკუნე. გლეხი ასე იხსენიებს თავის ცოლს, თავის ხიზანს, რადგან იმის ფსიხიკაში, ღრმად ქრისტიანულს ფსიხიკაში, ცოლი განუყრელი თანამგზავრი, მეუღლე და მეგობარია მთელს იმ ხანში, რა ხანსაც ისინი ერთად იცხოვრებენ, მაშასადამე მთელს თავიანთ საუკუნეში.

მე იქნება ვერც კი მიმხვდარვიყავ, რა ღრმა ცოდნას აშკარავნებს ეს ფაქტი ილიას მიერ ქართულისას, რომ სწორედ ამისთანა სიტყვა არ გამეგონა ასეთისავე აზრით თქმული ერთ შეზარხოშებულ და ხუმრობის გუნებაზედ დამდგარ ხნიერ გლეხისაგან, როცა იგი, სტუმრად მისული ნაცნობის ოჯახში თავის მეუღლითურთ, ცალკე ოთახში დააწვინეს. გლეხი დაჟინებით თხოულობდა, ჩემი „საუკუნე“ რატომ ჩემთან არ არისო.

გამაოცა, გამაკვირვა ენის ასეთის დეტალის, ქართულის ასეთის ნიუანსის ცოდნამ ილიას მიერ. დედა-ენა ბევრმა იცის, ქართული ბევრს ღრმად აქვს შესწავლილი, ძველი და ახალი ქართული შეთვისებულიცა აქვს, მაგრამ ასეთს წვრილმანებსაც რომ ჩასწვდეს ადამიანი გლეხკაცური კილო რომ ასე ღრმად ჰქონდეს შეთვისებული, მართლა დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანს, დიდი უნარი ენის ალღოს აღებისა, გენიოსი უნდა იყოს ენისა. ტყუილად არ ამბობდა აკაკი—ილია ენის თერძიაო. თერძისა-კი რა მოგახსენოთ და სიტყვის დიდი ხელოვანი რომ იყო ილია, ეგ ცხადზედ ცხადია.

კარგი მცოდნეა, მაგალითად ქართლისა ავტორი ისტორიულის რომანისა „მიმქრალი შარავანდედი“. ღრმა ცოდნა ეტყობა ამ მწერალს ძველისა და ახალის ენისა; როგორც წყალი ისე მიმდინარეობს მისი ქართული, სუფთაა, გარანდული, ბროლივით დაკვეთხული, მაგრამ ის ელვარება, ის ხელოვნება, რაც მზესავით აბრწყინვალებს ენას და მკითხველს შიგ გულში ჩასწვდომის უნარს აძლევს, ეს თვისება, ეს ნამდვილი მადლიანობა, ცოტად თუ ბევრად, აკლია. ჯიგრით წერა, მადლიანად წერა—აი რა ახასიათებს უაღრესად ილიას ენას პროზაში. დიაღ, ილია მარტოდ-მარტოა ამ მხრივ დღესაც იმის სიმაღლემდე ვერავინ ავიდა პროზაში. თუ უახლოვდება ვინმე ილიას ამ მხრივ, უახლოვდება მარტოდ მარტო ვაჟა ფშაველა თავის ნოველების ენითა.

გრ. ყიფშიძე.

კონტრ-რევოლუცია თუ ახალი რევოლუცია

მოსკოვის სახელმწიფო თათბირს თითქო უნდა გაემტკიცებინა დროებითი მთავრობის მდგომარეობა და მთლიანი ეროვნული პოლიტიკის ნიადაგი შეექმნა. აღმოჩნდა, რომ ეს მიზანი მიუწდომელი ყოფილა. შინაგან ქიშპობისა და დაშლის პროცესი გრძელდება და დროებითი მთავრობა დღეს უფრო უძლურია ვიდრე ოდესმე ყოფილა ამ ექვსი თვის განმავლობაში. რევოლუციის ნახევარი წლის თავი მან შეთქმულობის საფრთხის ქვეშ გაატარა. შეთქმულობა მარჯვნივ, შეთქმულობა მარცხნივ; შეიძლება ითქვას, რომ კერენსკის ბეწვის ხიდზე უხდება სიარული.

უკანასკნელი კვირა დიდი მთავრების შეთქმულობის კვირა იყო. ჯერ გამოძიება არ დამთავრებულა, მაგრამ როგორც წინასწარ გამოქვეყნებული ცნობებიდან სჩანს, მას ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვიდრე ზოგიერთ დამფრთხალ ფანტაზიას წარმოუდგენია. უეჭველია ის ფაქტი, რომ რუსეთის საზოგადოების მარჯვენა ნაწილში ბოლო დროს გაძლიერდა რეაქციური სულისკვეთება. მაგრამ გამოურკვეველ გრძნობიდან განსაზღვრულ მოქმედებამდე კარგა დიდი მანძილია, რესტავრაციას კი ჯერ კიდევ ძალა არ შესწევს აშკარა ბრძოლის დაწყებისათვის. არც ხალხის ფართო მასას, არც ჯარის უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია ნდობა რევოლუციისადმი. რევოლუციას არც ობიექტიურად ამოუწურავს თავის თავი: დიდი ეკონომიურ-საზოგადოებრივი საკითხები ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ამიტომ ძნელი მოსალოდნელია, რომ დღეს-დღეობით რესტავრაციის მიმდევრებმა ძლიერი გამოძახილი იპოვოს რუსეთში.

დიდი მთავრების საოპერეტო შეთქმულებასთან შედარებით გენერალ კორნილოვის ცდას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია. ტარნოპოლისა და რიგის გმირი შეუმავლის შემწეობით ცდილა სახელმწიფოებრივი ცვლილების მოხდენას, როგორც ნაპოლეონმა მახვილის შემწეობით მოახდინა. ეს არის ვსთქვათ გენერალ კორნილოვის 18 ბრიუმერია.

მაგრამ თუ ძლევამოსილ კორსიკელს მთელი იმდროინდელი ფრანგის ჯარი მისდევდა, დამარცხებულ რუსის გენერალს დღეს ჯარში ალბად არავინ თანაუგრძნობს გარდა რეაქციონერი აფიცრობისა და ყაზახ რუსობის ერთი ნაწილისა. ამ ძალებით საუკეთესო შემთხვევაში კონტრ-რევოლუციის დაწყება შესაძლებელია, მაგრამ ძნელია მისი ბედნიერად დამთავრება. თუ გენერალმა კორნილოვმა გაჰბედა და კერენსკის ასეთი თავხედური წინადადება გაუგზავნა, ეს იმითი კი არ აიხსნება, რომ მას თავისი საკუთარი ძალების შეურყეველი იმედი ჰქონდეს, არამედ იმით, რომ კარგად ესმის დროებითი მთავრობის დღევანდელი უმწეობა.

მაგრამ დროებითი მთავრობის უძლურება სრულიადაც არ ნიშნავს რევოლუციის უძლურებას. მთავრობის მარცხნივ მდგომ ორგანიზაციაში სდგანან ძალები, რომელნიც გენერალ კორნილოვს შეეჯახებიან, თუ მან სამოქალაქო ომის დაწყება გაჰბედა. და კერენსკის სწორედ ამ უკიდურეს მემარცხენეებისაგან მოელის უდიდესი საფრთხე. ამას თვით მინისტრ-პრეზიდენტიც უნდა გრძნობდეს. თუ დიდი მთავრების შეთქმულობის გარშემო მან ასეთი განგაში ასტეხა, ეს ალბად იმით აიხსნებოდა, რომ ის სცდილობდა საშიში აჩრდილებით გაეერთიანებინა ხალხი, რომელიც მისმა ენაწყლიანობამ ოდნავაც ვერ გააერთიანა.

როგორც სჩანს, ეს ცდა უნაყოფოა. ეგრედ წოდებული ბოლშევიკების გავლენა რუსეთში თანდათან ძლიერდება. მათი ენა უფრო მკვეთრი და შეურიგებელი ხდება. სატახტო გაზეთებში ცნობა იყო, რომ ბოლშევიკები სექტემბრის პირველ რიცხვებში აპირებენ ხელ-ახალი რევოლუციის მოხდენას. შეიძლება ეს ცნობა დაშინებული ფანტაზიის მიერ იყოს გაზვიადებული, მაგრამ ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ ადრე თუ გვიან აფეთქება აუცილებელია.

პეტროგრადის საქალაქო არჩევნებმა ბოლშევიკების მოულოდნელი სიძლიერე გამოაშკარავა. ამ პარტიის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლა სწარმოებდა: ჯერ დაცინვით ებრძოდნენ, შემდეგ დატუსაღებით. ბოლოს მის მეთაურებს უდიდესი დანაშაული დააბრალეს: სახელმწიფო ღალატი და სამშობლოს გაცვლა ვილჰელმის ოქროში. ამისდა მიუხედავად პეტროგრადის მცხოვრებლებმა ქალაქის საბჭოში 67 ბოლშევიკი აირჩია. თითქმის იმდენივე, რამდენიც სოციალისტ-რევოლუციონერები და ბევრად მეტი ვიდრე კადეტები.

აშკარაა, რომ სატახტო ქალაქმა ნდობა გამოუცხადა ენერგიულ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ. მაგრამ დროებით მთავრობისთვის ეს უდიდესი მარცხია. სატახტო ქალაქი მეთაურობს რუსეთის რევოლუციას, ის მთელი ქვეყნის ძალთა განწყობილების მაჩვენებელია. ამ პოლიტიკურ ცენტრში კი ბოლშევიკებს დღეს-დღეობით მხოლოდ ერთად-ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავს: ხალხის თავისუფლების პარტია. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია კი დღეს იმავე როლს თამაშობს, რომელსაც საფრანგეთის რევოლუციურ კონვენტში ეგრეთ წოდებული „ჭაობი“ თამაშობდა: ის ხან მარჯვნივ იხრება, ხან მარცხნივ, მომენტის მოთხოვნილებისა და კარნახის მიხედვით. ბოლო დრომდე ს. რევოლუციონერები მენშევიკ პატრიოტებთან იყვნენ რევოლუციურ საბჭოებსა და პრესაში. დღეს ხმას უფრო ხშირად მენშევიკ-ინტერნაციონალისტების რეზოლუციებს აძლევენ. ადვილი მოსალოდნელია, რომ ხვალ ძლიერი ბოლშევიკებისკენ გადაიხრებიან. მთავრობის პარტიაც ნაკლებ საიმედო გახდა მთავრობისათვის.

გერონტი ქიქოძე

რევოლუცია

კონტრ-რევოლუცია დაიწყო

გენერალ კორნილოვის მოთხოვნილება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 27. განცხადება. მარიამობისთვის 26 გენერალ კორნილოვმა მომიგზავნა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვლად. ნიკ. ლვოვი. იმ მოთხოვნილებით, რომ დროებით მთავრობას მისთვის გადაეცა მთელი სამოქალაქო და სამხედრო უფლებამოსილება, რათა მას თვითონ შეედგინა რუსეთის ახალი მთავრობა. რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვლად. ნიკ. ლვოვს მართლა ჰქონდა ეს კორნილოვისაგან დავალებული—ეს თვით კორნილოვმა დაადასტურა პირდაპირის მავთულით ჩემთან ლაპარაკის დროს. ეს მოთხოვნილება რომელიც მიმართულია დროებით მთავრობისკენ—არის სურვილი რუსის საზოგადოების ზოგიერთ წრეებისა, რომელთაც სურთ ისარგებლონ რუსეთის მძიმე მდგომარეობით და ისეთი სახელმწიფოებრივი წესწყობილება დაამყარონ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება რევოლუციით შეძენილ უფლებებს. ამის გამო დროებით მთავრობამ საჭიროდ სცნო: სამშობლოს, რევოლუციის და რესპუბლიკურ წესწყობილების სახსნელად მიღებულ იქმნას სასწრაფო და უკანასკნელი ზომები, რათა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ყოველი ცდა უმაღლეს მთავრობის და რევოლუციით მოპოვებულ მოქალაქეთა უფლებათათვის ძვირის შესამთხვევად. მე მისადმი ვთვლი ყოველივე საჭირო ზომებს თავისუფალ მხარეში—და ამასთან ვბრძანებ: 1) გენერალ კორნილოვმა უმაღლესი მთავარსარდლობა გადასცეს ჩრდილოეთ ფრონტის მთავარსარდალ პეტროგრადის გზის შემკვრელ გენერალ კლემბოვსკის. გენერალ კლემბოვსკიმ დაიჭიროს დროებითი თანამდებობა უმაღლეს მთავარსარდლისა და პსკოვში დარჩეს. გამოცხადდეს პეტროგრადი და მის მაზრაში სამხედრო წესები, შემოღებულ იქმნეს წესები რომელთაც კანონთა კრებულის მე-11-ე ტომში საერთო საგუბერნიო წესების მე-23 ე მუხლშია განცხადებული.

ვუბრძანებ ყველა მოქალაქეს სიწყნარისა და წესწყობილების დაცვას, რაც საჭიროა სამშობლოს სახსნელად. ლაშქარსა და ფლოტს მოვუწოდებ თავგანწირულ შრომისაკენ გარეშე მტრისაგან სამშობლოს დასაცავად.

მინისტრ-თავმჯდომარე, სამხედრო და საზღვაო მინისტრი **ა. კერენსკი.**

1917 წ. მარიამობისთვის 27.

გაზეთის დახურვა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 24. სამხედრო მინისტრის ბრძანებით მინსკში გაზეთ „ზვეზდა“-ს გამოსვლა შესწყდა.

კონტრ-რევოლუციონერთა მოქმედება ნიჟნი-ნოვგოროდში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მარიამობისთვის 26. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება აღნიშნავს კონტრ-რევოლუციურ ძალთა გაძლიერებულ მუშაობას და მოუწოდებს მუშებსა და ჯარისკაცებს უყურადღებოდ დასტოვონ სხვა და სხვა ხმები და მშვიდად განაგრძონ თავიანთი მუშაობა.

კონტრ-რევოლუციური პროკლამაციები კიევში

კიევი. მარიამობისთვის 25. გაჩხრიკეს 12-გან მემარჯვენენი. აღმოაჩინეს წერილები. სტამბა „განახლება"-ში (ძველად ორთავიანი არწივი) კონტრ-რევოლუციონური პროკლამაციები იპოვეს. გამომძიებელ მოხელეებმა იპოვეს კონტრ-რევოლუციონურ წრის პროტოკოლი, რომელიც ერთ-ერთ სხდომაზე ყოფილა შედგენილი.

სუხომლინოვის გასამართლება

ერანდოკოვის ჩვენება.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 25. მოწმე ერანდოკოვი განაგრძობს: როდესაც მიასოედოვის შესახებ არა სასიამოვნო ხმები გავრცელდა, მე „სუხომლინოვის დავალებით, საქმის გამოძიებას შევუდექი. გამოირკვა, რომ მიასოედოვთან მეგობრობაში ეჭვმიტანილი პირები მიდიოდნენ. ეს სუხომლინოვს ვაცნობე, მაგრამ მიასოედოვი რამდენიმე ხანი კიდევ დარჩა სამსახურში.

კურლოვის ჩვენება.

გამოცხადდა გენერალ კურლოვის ჩვენებები. თურმე მას ორჯელ შეუტყობინებია არასასიამოვნო ცნობები მიასოედოვის შესახებ, მაგრამ სუხომლინოვს მაინც მიუღია მიასოედოვი სამსახურში.

ვისარიონოვის ჩვენება.

საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფ ვისარიონოვის ჩვენებით, მიასოედოვს ჟანდარმთა კორპუსში უთხოვნია სამსახური, მაგრამ პოლიციის დეპარტამენტს მეტად არა სასურველი ჩვენებები მიუცია.

ბორის სუვორინის ჩვენება.

„ნოვოე-"სა და „ვეჩერნეე ვრემია"-ს რედაქტორმა ბორის სუვორინმა განაცხადა, რომ მან შემდეგ, რაც გუჩკოვმა, „ვეჩერნ. ვრ". საშუალებით მიასოედოვის ჯაშუშობის შესახებ ცნობები გამოაქვეყნა—მიასოედოვი ცდილობდა თავი გაემართლებინა, მაგრამ ამისთვის შესაფერ საბუთებს კი არ ადგენდა. ერთხელ მიასოედოვი გზაში შეჩეხებია სუვორინს და საცემნელად მივარდნია. სუვორინს პენსნე ჩამოუგლეჯია და მიასოედოვს თვალთ ნაკლებობის გამო რევოლვერი ვეღარ მოუხმარებია. ამ დროს კუბლირი მისულიყო და მიასოედოვი წაეყვანა. სუვორინს მიასოედოვის დუელში გამოწვევა გადაეწყვიტნა, მაგრამ სეკუნდანტ ოფიცრებს განუცხადებინათ, რომ მასთან დუელი შეუძლებელია. მიასოედოვს სუვორინისთვის ცილისწამებაზე უჩივლია, მაგრამ სასამართლოს სუვორინი გაუმართლებია.

მიასოედოვის ქვრივის ჩვენება

პეტროგრადი. მარ. 25. გამოცხადდა მიასოედოვის ქვრივის ჩვენება. იგიც იყო სასამართლოში მიცემული; პირველად გაამართლეს, მაგრამ საქმის მეორედ განხილვისას კატორგა მიუსაჯეს, მაგრამ მალე გადასახლებად შეუცვალეს. მისი ჩვენება მათ ოჯახურ ცხოვრებას შეეხება და მეტად არა სასიამოვნოა.

შტაბის უფროსის ოდიშელიძის ჩვენება

ოდიშელიძის ჩვენებით, მიასოედოვი სუხომლინოვის მიწერილობით მიუღიათ სამსახურში. შტაბს სუხომლინოვის წერილისა გამო მიასოედოვზე სხვა ცნობები აღარ მოუკითხავს.

მიასოედოვის ჩვენება.

გამოცხადდა პოლკოვნიკ მიასოედოვის ჩვენება. როგორც მას განუცხადებია, სტოლიპინის სიკვდილის შემდეგ იგი ჟანდარმთა კორპუსში ყოფილა მიღებული და შემდეგ სამხედრო მინისტრთან ყოფილა გაწერილი. მას დავალებული ჰქონია ჯარში სარევოლუციო მოქმედებათა შესახებ სუხომლინოვისათვის მოხსენების წარდგენა. მას უნდა წარედგინა აგრეთვე მნიშვნელოვანი ცნობები კონტრ - ზვერვის შესახებ. სუხომლინოვს მისთვის წერილობითი განკარგულებები არ მიუცია. ჩაუბარებია მხოლოდ დაუბეჭდავი კონვერტი, საიდუმლო დოკუმენტით—საფრანგეთის მოკავშირული ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი მიასოედოვს მთავარ შტაბის უფროსისათვის უნდა გადაეცა პირადად. რომ ეს მართლა მას ჰქონდა დავალებული უწერილოდაც დაუჯერებდნენ რადგან იცოდნენ, რომ მიასოედოვს დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული სუხომლინოვისა.

ანდრონიკოვის წერილები ნადედოფლართან.

გამოაცხადეს ანდრონიკოვის მიერ ნადედოფლარ ალექსანდრასთან მიწერილი წერილები. წერილებში ნათქვამია, რომ კაცების დამოუკიდებლად ხშირად დედაკაცები გამოდიან ხოლმე. სუხომლინოვიც ცოლის მსხვერპლი გახდა. მის დასაკმაყოფილებლად სუხომლინოვმა პატიოსან კაცის სინდისი გაყიდა და დაიწყო ათასგვარი მოგზაურობა. იღებდა საგზაოს და ყოველნაირ ქრთამს. სხვა და სხვა მაღალ თანამდებობაზე ცოლის სურვილით ინიშნებოდნენ ესა თუ ის პირნი. მის სურვილით დაინიშნენ კურლოვი და რეინბოტი. სუხომლინოვს ანდრონიკოვი სუსტ ჭკვის პატრონად ხატავს.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 26. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის რაიონი უცვლელადაა. მტრის ცხენოსნები გვზვერავენ. იაკობშტადტის რაიონში მტრის მფრინავთა გაცხარებული მოქმედებაა. იაკობშტადტში ჩამოყრილ ყუმბარებით მოკლულია შემხვევ რაზმის უფროსი ექიმი, დაჭრილია მოწყალების და და სტუდენტი. დანარჩენ ფრონტზე არაფერია არსებითი.

რუმინეთის და კავკასიის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

ბალტიის ზღვა. მარიამ. 25. მთელი დღის განმავლობაში მტრის 23 ჰიდროპლანი ესხმებოდა ცერელს, არენსბურგს და კუივასის რაიონს. რიგის ყურეში მტრის ხუთ ჰაეროპლანმა იერიში მოიტანა ჩვენს მზვერავ ნაღმოსნებზე. არენსბურგთან საჰაერო ბრძოლაში მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ჰაეროპლანი დაიწვა. მზვერავ ნაღმოსნებმა რიგის ყურეში მტრის წყალქვეშა აღმოაჩინეს. ირბენის სრუტეში მტრის გემებს ჩვენმა სანაპირო არტილერიამ სროლა აუტეხა და უკან გააბრუნა.

მფრინავთა მოქმედება. ოგინის არხზე მდებარე დაბა ტელეხანს ჩვენმა მფრინავებმა სროლა აუტეხეს. ამ დაბაში გერმანელ პოლკის შტაბი სდგას.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 27. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით, მტერმა გადო ხიდები ლიფლიანდიის აა-ს ქვემო მდინარეებში, და აძლიერებს ჯარებს მის ჩრდილო ნაპირებზე, რომლებსაც იცავენ ცხენოსანი ჯარები და თან. ზვერავენ ჩვენს ბანაკებს. ფსკოვის გზატკეცილზე, ზეგევოლდის მიდამოებში, მტრის მოწინავე რაზმები ებრძვიან ჩვენსას, ამის სამხრეთით, დვინამდე, სროლაა ჩვენს მოდარაჯე ნაწილებსა და მტრის მოდარაჯე ნაწილებს შორის. ჩვენი მფრინავები გადმოგვცემენ, რომ დიდი მოძრაობაა მტრისა იაკობშტადტსა და დვინსკის მიდამოებში.

რუმინეთის ფრონტი. ქალაქ რადაუცის სამხრეთით, საღამოს, 26 მარიამობისთვის, მტერმა ასტეხა სროლა და შემოგვიტია, მაგრამ კონტრ-შეტევით უკუ-ვაგდეთ. ფრონტის დანარჩენ ნაწილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. 25 მარიამობისთვის მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები დააყარეს სადგურ ადჟუდს.

კავკასიის ფრონტი. სროლაა.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა თვითმფრინავებმა დააყარეს ყუმბარები მტრის საწყობს სოფელ როძკსთან და აგრეთვე სოფელ ოზარიჩის ოგინის არხზე, სადაც იმყოფებოდა გერმანელთა პოლკის შტაბი.

რიგის ყურე. ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში გერმანელები უმთავრესად რიგის ყურეში მოქმედობენ. მათ მფრინავებმა ჩვენ მაშველ გემებზე „კობჩიკ"-ზე და „ლოტ"-ზე მოიტანეს იერიში და ცოტათი დაგვიზიანეს. მოკლულია მემანქანე და ფერშალი, დაჭრილია მეზღვაური. მტრის „ცეპელინებმა" პერნოვზე გადმოიარეს და გაინაზში ყუმბარები ჩამოყარეს.

პეტროგრადის დაცლა

თავზარდამცემი ხმები.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 26. პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი, უპასუხისმგებლო პირთაგან პეტროგრადის შესახებ თავზარდამცემ ხმების გავრცელების გამო, მოუწოდებს მცხოვრებთ, სრული სიმშვიდე იქონიონ. იგი აცხადებს, რომ ყოველივე ცდას პეტროგრადში არეულობის გამოსაწვევად, დროებითი მთავრობა ჩააქრობს.

პეტროგრადის მეციხოვნენი

პეტროგრადი. მარ. 26. ჯარის-კაცთა სექციის გუშინდელ სხდომაზე დაადგინეს, რომ პეტროგრადის მეციხოვნენი ფრონტზე გაიგზავნონ.

ბანკების გადატანა

პეტროგრადი. მარ. 26. საღამოს გაზეთების ცნობით გუშინ პეტროგრადის ყველა ბანკების წარმომადგენელთა სასწრაფო სხდომაზე პეტროგრადში სასურსათო საქმის გამწვავების გამო ბანკების ევაკუაცია გადაწყდა. იმ შემთხვევაში თუ პეტროგრადს დიდი საფრთხე შეუმზადდა დაიცალოს სახელმწიფო ბანკიც.

ხმები ხოცვა-ჟლეტის შესახებ პეტროგრადში

პეტროგრადი. მარ. 26. ქალაქში ხმები გავრცელდა, ვითომც მარიამობისთვის 27-სათვის ხოცვა-ჟლეტა მზადდებოდეს. ამის გამო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და პროფესიულ და ქარხანათა კომიტეტებმა მოწოდებები გამოუშვეს. მოწოდებაში ნათქვამია: ამ ხმებს რევოლუციის მტრები და პროვოკატორები ავრცელებენ. მათ სურთ ჯარისკაცთა და მუშების ქუჩებში გაწვევა რომ სისხლის ღვრით წალეკონ რევოლუცია. არც ერთი, მშრომელთა ორგანიზაცია, არც ერთი დემოკრატიული პარტია არ მოგიწოდებთ ასეთ გამოსვლისათვის. მოქალაქენო! თავზარი ნუ დაგეცემათ. მუშათა და ჯარისკაცთა ორგანიზაციები დარაჯად უდგანან რევოლუციას.

პეტროგრადის თავდაცვა მფრინავთაგან

პეტროგრადი. მარიამობისთვის 27. პეტროგრადის დაცვის მფრინავთა შტაბის უფროსმა, შტაბს-კაპიტანმა ვოტინცევმა სთქვა: „პეტროგრადისთვის საშიშოა მფრინავთა თავდასხმა, მაგრამ საშიშოა არა ჰაეროპლანები, არამედ ცეპელინები. ჰაეროპლანებს შეუძლიანთ იფრინონ ჩამოუსვლელად 700 კილომეტრი. უახლოესი ადგილი გერმანელთა ბანაკისა და პეტროგრადის შორის არის 850 კილომეტრი. გერმანელები აჩქარდებიან გადმოიტანონ ცეპელინების სადგური რიგაში და მაშინ შეეძლებათ გვეწვევნენ და გაბრუნდნენ კიდეც. სანამ ჩვენი ფლოტი ბრძანებლობს რიგის ყურეში, ცეპელინებისა და ჰაეროპლანების თავდასხმა საეჭვოა, ხოლო, როცა პსკოვს დაუახლოვდებიან, მაშინ კი, ესეც გარეშეა, რომ მათი თავდასხმა პეტროგრადზე გახშირდება. ჩვენ საკმაოდ გვაქვს ჰაეროპლანები და თანდათან გვემატება ახლად გაკეთებულები. დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს ამ საქმეში ინგლისმა და საფრანგეთმა. ჩვენ საუკეთესოდ ვართ მომზადებულნი მტრის მფრინავთა დასახვედრად. მცხოვრებთ ვუჩვენებთ საუკეთესო საშუალებებს თავდაცვისას. სახლებში დაიდგმება სირენები, რომლებიც ატყობინებენ ხალხს, როცა უნდა დაიმალონ და ცეცხლი ჩააქრონ, რომ ქალაქი კუმეტ სიბნელეში იყოს. უკვე შემუშავებულია შეთანხმებული მოქმედება სანიტარულ, ცეცხლის მქრობელ და სამხედრო რაზმებისა. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული განაპირა ქარხნებისა და სამხედრო შენობათა დაცვაზე. ერთი სიტყვით, გაკეთებულია ყველაფერი, რომ დავიცვათ პეტროგრადი. ჯარის უფროსთა და ჯარის კაცთა შორის სრული თანაზიარობაა და ეს არის უმთავრესი წინდი ჩვენი გამარჯვებისა.

საფრანგეთის ფრონტი

პარიზი. მარიამობისთვის 25. დღეს დიდი წვიმა მოვიდა. ლანსის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. გერმანელთა კონტრ იერიში მოვიგერიეთ. არმანტიერის აღმოსავლეთით გერმანელებმა მოულოდნელი თავდასხმა სცადეს, მაგრამ ამაოდ. ფრეზენბერგის ჩრდილოეთით დღეს დილით მტრის ასპარეზებზე მივიტანეთ იერიში. გერმანელებმა არმანტიერს გაცხარებული სროლა აუტეხეს. სხვათა შორის მათ მფრინავების ყუმბარებს 37 ტყვე გერმანელი შეეწირა. 43 დაჭრილია.

პარიზი. მარიამობისთვის 26. დღის ოფიციალი. წუხელ გერმანელები სერნის რაიონში, კურსის ჩრდილოეთით, რეიმსის აღმოსავლეთის და ლოტარინგიაში შეეცადნენ მოულოდნელ თავდასხმას, მაგრამ საარტილერიო ცეცხლით მოვიგერიეთ. „304" სიმაღლის ჩრდილოეთით და მაასის მარჯვენა მხარეზე მტერს თავს დავესხით და ტყვეები წამოვიყვანეთ. მაასის ორსავე მხარეს დიდი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. მარიამობისთვის 25. ლანსის მახლობლად, არმანტიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა ჩვენს ასპარეზში შემოჭრა მოისურვა, მაგრამ ამაოდ. ფრეზენბერგის ჩრდილოეთით ასპარეზი დავსტოვეთ, ლანსის ჩრდილოეთით, იპრ-მენენის გზაში არტილერია მოქმედობს.

ლონდონი. მარიამობისთვის 26. გუშინ გაზრილის მიდამოებში ერთი ჩვენი რაზმი მარჯვედ დაესხა მტერს თავზე. იპრის უბანში პატრულების შეტაკებას ბოლო არ ელება. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

ლონდონი. მარიამობისთვის 26 არუკურის მიდამოებში გერმანელთა არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. ქვეითთა ჯარს ბრძოლა არ ჰქონია.

იტალიეთის ფრონტი.

რომი. მარიამობისთვის 24. გუშინდელი ოფიციალი. გუშინ იულიუსის ალპებში ბრძოლა განახლდა და ცხარე ბაინისთა მიდამო. ვანიოცას ზეგანზე ოკროგლის სამხრეთ დასავლეთით მნიშვნელოვანი ასპარეზი დავიჭირეთ. გორიციის ჩრდილო აღმოსავლეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. დღეს 86 ოფიცერი და 1602 ჯარისკაცი წამოვიყვანეთ ტყვედ. კარსოსთან მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ასპარეზზე. სამხრეთისკენ ბრესტოვეცის ღელესა და ზღვის შუა ძირას „146" გორაკსა და ფლონდარის ჩრდილო - აღმოსავლეთით და ლოკავაჩის ჩრდილო - აღმოსავლეთით სარკინო-გზო ტუნელის შუა მტერს გამარჯვება ჰხვდა. შუადღის შემდეგ კონტრ-იერიშით ასპარეზები დავიბრუნეთ. ამასთან წამოვიყვანეთ 402 ტყვე. მათში 14 ოფიცერია. ბრძოლაში ჩვენი 261 ჰაეროპლანი მონაწილეობდა.

ახლო აღმოსავლეთი.

ლონდონი. მარიამობისთვის 26. სტრუმის ფრონტზე ჩვენმა პატრულებმა მტერს საგრძნობი ზარალი მიაყენეს და რამდენიმე ტყვეც წამოიყვანეს. დოირანის ფრონტზე, დელოზეცის ჩრდილოეთით მტერმა ჩვენი მოწინავე ადგილები დაიჭირა, მაგრამ მალე დავაცლევინეთ.

აღმოსავლეთი აფრიკა

ლონდონი. მარიამობისთვის 26. დასავლეთ რაიონში აპენოზადან გერმანელები გავდევნეთ და მალინიე დავიჭირეთ. პანეს მიდამოებში ჩვენ იერიშები მივიტანეთ გერმანელებზე და რამდენიმე კონტრ იერიში მოვიგერიეთ.

მე-7-ე სამხედრო სესხი გერმანეთში

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 25. გერმანეთიდან იუწყებიან: მე 7-ე სამხედრო სესხი იმავ პირობებით გამოიცემა რა პირობითაც მე-6-ე სამხედრო სესხით. ხელის მოწერა ენკენისთვის 6-დან დაიწყება.

რიბოს სამინისტროს გადადგომა.

პარიზი. მარიამობისთვის 25. რიბომ კაბინეტის გადადგომის შესახებ პრეზიდენტ პუანკარეს თხოვნა მიართვა. პუანკარე სთხოვს პალატათა პრეზიდენტების დაბრუნებამდე გადადგომა გადასდონ, რომ რიბოს საშუალება ჰქონდეს საჭირო მოლაპარაკებისათვის.

უკანასკნელი დეპეშები

მოსკოვი.

საკუთარ კორესპონდენტისაგან

მარიამობისთვის 26 ის სხდომაზე დროებითი მთავრობა ამიერ-კავკასიის კომიტეტისათვის საბოლოოდ შემუშავებულ დებულებას განიხილავს. პროექტით მეფის ნაცვლის მთელი უფლება გადაეცემა კავკასიის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების კომიტეტს.

—

იუწყებიან, რომ კერენსკიმ პასუხის მაგიერ ლვოვი დაატუსაღა. სოციალისტ-მინისტრებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს ენერგიულად იმოქმედონ. საღამომდე კორნილოვი თანამდებობიდან არ გადამდგარა და დაშქირიდან არ წასულა.

—

გაიცა ბრძანება გენერალ კორნილოვის დაჭერის შესახებ, ხმებია, რომ იგი ვითომდა პეტროგრადში მიმავალ საკავალერიო რაზმს მეთაურობს. კრილოვი მიიმალა.

გაიცა განკარგულება კორნილოვის დაჭერის შესახებ. მინისტრები მას ავანტიურისტად სთვლიან.

—

ჰგონიათ, რომ კონტრ-რევოლუციონური ცდა მარცხდება. ხმებია, რომ კერენსკის მეთაურობით თორმეტ კაცისაგან შემდგარი დირექტორია არსდება.

—

პეტროგრადი. მარიამობისთვის 25. დროებითმა მთავრობამ დაადგინა—გაუქმებულ იქმნას ამ წლის მკათათვის 12-ს მის მიერ თურქესტანის შესახებ დამტკიცებული დადგენილება. ხსენებული დადგენილება მიწის თავისუფლად მოხმარებას ჰკრძალავდა.

—

აბო. მარიამობისთვის 25. აბოს ფოჩტამტის უფროსი მოსამსახურეთა მოთხოვნილებებისამებრ სენატმა თანამდებობიდან გადააყენა. გაფიცვა დასრულდა.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ხმები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ.** როგორც ამბობენ, თბილისში ცნობა მოსულა, ვითომც დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი იალტიდან სადღაც წასულიყოს მალულად. ფიქრობენ რომ იგი უნდა იმყოფებოდეს ჩრდილო კავკასიაში.

◆ **ირ. წერეთელი საქართველოში მოდის.** ირაკლი წერეთელს ექიმებმა პეტროგრადიდან გამოსვლა ურჩიეს. იგი საქართველოში მოდის.

◆ **მიტინგები.** მარიამობისთვის 27-ს „თავისუფლების სესხის დღეს", თბილისში მრავალ ადგილას მოხდა სახალხო მიტინგი და სხვა და სხვა რეზოლუცია გამოიტანეს. ნაძალადევის მიტინგზე „ბოლშევიკების" რეზოლუციამ გაიმარჯვა.

◆ **თბილისში ჩამოვიდა გენ. მიშლაევსკი,** რომელიც ერთ დროს მეფის ნაცვლის ვარანცოვ-დაშკოვის თანაშემწედ იყო აქ. გენერალი თბილისიდან ჩრდილო-კავკასიაში გაემგზავრა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნდება. როგორც ამბობენ, მიშლაევსკის დავალებული აქვს მოხსენება წარუდგინოს მთავრობას კავკასიის მხედრობისა და სტრატეგიულ მდგომარეობის შესახებ.

◆ **საეკლესიო არჩევნები.** ნაძალადევის ეკლესიის მრევლმა, კვირას, მარიამობისთვის 27, საეკლესიო კრების დელეგატთა ამრჩევლებად აირჩია დავ. ჩიქოვანი და მიხ. ხერხეულიძე.

◆ **პარტიული კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე ქართული გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ერ.-დემ. პარტიის კრება. კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შალვა ქარუმიძე თანამედროვე მომენტზე, და ბ. გ. ჟურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათ მნიშვნელობას.

◆ **დეპეშა შრომის მინისტრს.** თბილისის მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭოს მუშათა სექციამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა შრომის მინისტრს სკობელევს: დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, ვითომც თქვენ დაგედგინოსთ, რომ მიღება და დათხოვნა მუშა-მოსამსახურეებისა საქმის პატრონების უფლებას შეადგენსო. ამ უფლების მოსაპოვებლად მუშათა ორგანიზაციები თავგამოდებით იბრძოდნენ; ადგილობრივი საქმის პატრონები ბოროტმოქმედებენ, კავშირები აღშფოთებულია: დეპეშით განგვიმარტეთ საქმის სინამდვილე.

◆ **ქართული ეკლესია.** ყველა ქართულ ეკლესიების მრევლმა მარიამობისთვის 27-ს აირჩია თავთავის წარმომადგენლები, რომელთაც უნდა აირჩიონ დელეგატები საქართველოს კათოლიკოსის ასარჩევად. ჯერ-ჯერობით შემდეგი ცნობები გვაქვს მომხდარ არჩევნების შესახებ: სიონის მრევლს აურჩევია ვ. რცხილაძე და ი. ბახტაძე, ანჩისხატისას ქ-ნი ვ. გ. მაღალაშვილისა და თავ. ი. ვ. ერისთავი, ქვაშვეთისას პოლკ. ნ. ი. არჯევანიძე და ექ. ს.პ. ვირსალაძე, წმ. მარინეს ეკლესიისას ს. ფორაქიშვილი და მ. იანვარაშვილი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიისას ჩუღურეთში თავ. ფ. ვაჩნაძე და გ. ზ. ზაზიაშვილი.

◆ **თბილისის კოოპერატივის ად**მინისტრაციასა და მოსამსახურეთა ერთ ჯგუფს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ამის გამო მოსამსახურეები კოოპერატივისა გაიფიცნენ. მუშებისა და სალდათების დეპუტატთა საბჭოს მუშათა სექცია ურჩევს აღნიშნულ მოსამსახურეებს, რომ, რადგან კოოპერატივის მუშაობა ამ ჟამად ძლიერ საჭიროა, მუშაობა დაუყოვნებლივ განაახლონ, ხოლო საკითხი უთანხმოების შესახებ შემრიგებელ კამერას გადასცენ გასარჩევად.

◆ **რუს-სომხური 5 მილიონიანი ბანკი.** ფინანსების სამინისტრომ ბუხარისა და რუს-სომხურ ახალ კომერციულ ბანკების წესდებები დაამტკიცა. თვითეულის კაპიტალი 5 მილიონი მანეთია. ბუხარის ბანკის მმართველობა ახალ ბუხარში იქნება, ხოლო რუს-სომხურისა—პეტროგრადში.

◆ **კომისარი დონსკოი.** კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალთან კომისრად დონსკოი დაინიშნა.

◆ **ლტოლვილთა დასახლება ჩრდილო-კავკასიაში.** ლტოლვილთა შესახებ მომხდარ საგანგებო თათბირმა გადასწყვიტა, რომ ჩრდილოეთის ფრონტის ლტოლვილთა ნაწილი ჩრდილო-კავკასიაში დაასახლონ.

◆ **ახალი ქართული პიესა.** კ. გ. ტაკიშვილ-თაყაიშვილს დაუწერია პიესა შემდეგი სათაურით: „მსხვერპლი მოვალეობისა".

◆ **საქონლის ჭირთან საბრძოლველად** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა 150,000 მანეთი გადასდო ქუთაისის დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო 10,000 მ. შავი ზღვის გუბერნიისათვის.

◆ **ბოსტნეულობის მტკიცე ფასები.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა მტკიცე ფასები დააწესოს ბოსტნეულობაზე თვით ბოსტნებში.

◆ **ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად** გარდაცვლილ 10 წლის თავის აღსანიშნავად მთაწმინდის ეკლესიაში კათალიკოზის მოსაყდრე თბილისის მიტროპოლიტ ლეონიდთან ერთად მწირველები ბრძანდებიან ყოვლად სამღვდელონი კირიონი და ანტონი. წირვის შემდეგ გადაიხდიან პანაშვიდს.

◆ **მილიციონერთა შტატის გადიდება.** თბილისის მილიცია ამ ჟამად შესდგება 803 კაცისაგან. მილიციის უფროსი თხოულობს, რომ შტატი გადიდებულ იქმნას 1400 კაცამდე და შტატის შესანახად გადაიდვას 2,008.131 მანეთი. ამ საკითხს ამ დღეებში განიხილავს ქალაქის საბჭო.

◆ **ეპისკოპოზი ერევნისა დამიანე** გადაყვანილია სარატოვის ეპისკოპოზის ვიკარის თანამდებობაზე.

ბათომი.

◆ **შავი ზღვის კომისარი.** შავზღვის აღმოსავლეთ რაიონის კომისრად საარტილერიო დივიზიის პორუჩიკი შრეიდერი დაინიშნა.

ს. ავლევი (ქართლი)

◆ **კ. მ. ამირეჯიბის სკოლა.** ამ დღეებში მოხდა კ. ამირეჯიბის მიერ დაარსებულ და მის მიერვე უზრუნველყოფილ სასოფლო-სამეურნეო 2 კლასიან სკოლის მოწაფეთა გამოცდა. გამოცდაზე მიწვეულ იყვნენ ასისტენტებად ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე თავ. დ. ჩოლოყაშვილი და თავმჯდომარის ამხანაგი ს. ყაზახაშვილი. სკოლა დაამთავრა წელს 10 ყმაწვილმა, რომელთა შორის 2 სტოლარია და 8 მჭედელი. უკანასკნელებმა მშვენივრად იციან სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლა და შეკეთება. ეს სკოლა ერთად ერთია და მასთან საზოგადოდაც მთელს ზემო ქართლში.

რუსეთის საეკლესიო კრება და საქართველო

(დეპეშა)

პეტროგრადის სააგენტო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების შესახებ მარიამობისთვის 25-ის თარიღით შემდეგს გადმოგვცემს. თბილისის მიტროპოლიტმა ნაეკზარხოსალ პლატონმა რიგის გარეშე განაცხადა, რომ საქართველო მართლმორწმუნე ეკლესიას გამოეყო და მარტის 14-დან იგი დამოუკიდებელია. სამმა ეპისკოპოსმა განაცხადეს, რომ ფაქტიურად ისინი უთანამდებოდ რჩებიან, რომ ეგზარხოსი კრებულის განგებას მოკლებულია. მას თბილისში ბოიკოტი გამოუცხადეს. ბერებსაც შეუბრალებლად მოეპყრნენ. დღეს მიტროპოლიტმა დეპეშა მიიღო. ატყობინებენ, რომ მარიამობისთვის 23-ს ქართველებმა მართველ ეპისკოპოს ლეონიდეს თაოსნობით და მილიციის მონაწილეობით დაიპყრეს ეგზარხოსის სახლი, დაბეჭდეს ეკლესია, მოითხოვეს კასების გასაღებები და ზოგიერთა სასულიერო პირი შეიპყრეს. დროებით მთავრობის წარმომადგენელმა სარწმუნოებათა მინისტრის ამხანაგ კოტლიარევსკიმ განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადა, რომ მთავრობა სრულს ანგარიშს უწევს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაცაა ეხლა კავკასიის მართლმორწმუნე ერიო. მხოლოდ საქართველოს ავტოკეფალიის განსახორციელებლად, ის გზა რომელიც კავკასიის ეგზარხმა გვაუწყა, ნამდვილ გზად არ ჩაითვლება. ერთად-ერთი გზა მისთვის—ეს შემათანხმებელ კომისიის შედგენაა. რაც შეეხება ამ აღმაშოთებელ ამბავს სამინისტრო სრულიად ეურთდება კრების პროტესტს და საჭიროდ მიაჩნია უკანასკნელ ზომების მიღება თვითნებობით ტაციაობის წინაამდეგ. სამინისტრო ზომებს მიიღებს, რომ შემათანხმებელ კომისიამ მალე მოქმედება დაიწყოს.

მორიგი გამოლაშქრება საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ

როგორც ვიცით, მარიამობისთვის 28-ს სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე თბილელი მიტროპოლიტი. ყ-დ უ. ლეონიდე გადაბრძანდა ქართულ სამღვდელოების სახლში, ყოფილ ეგზარხოსის პლატონის სახლში. ამ ამბავს ჯერ თბილისში იმავე დროს ათასი ჭორი მოჰყვა, თითქოს ყ. უ. მიტროპოლიტმა თვითნებობა გამოიჩინა, ძალად რუსთა ეგზარხოსის საკუთრება მიიტაცა და სხვა. ასეთივე პროვოკაციური დეპეშა უფრენიათ მოსკოვში. საეკლესიო თათბირზე თვითონ ყოფილ ეგზარხოსს მოუხსენებია ეს ამბავი. გარდამონაცემით ადამიანი შთაბეჭდილებას ისეთს იღებს, თითქოს ყ. უ. მიტროპოლიტი ლეონიდე თოფითა და ჯინჯიხით შეიარაღებული დასცემია ეგზარხოსის ქონების გასატაცებლად.

რამ აღაშფოთა რუსის სამღვდელოება და სამინისტრო? რა მოხდა უკანონო? რა იურიდიული უფლებები გადაჰქელა ყ. უ. თბილელმა მიტროპოლიტმა, რომელიც ეხლოდ „ბრბოს“ მეთაურად უღიარებია ვიღაც სულ მდაბალს პროვოკატორს! თუ მილიცია ახლდა ყ. უ—ესს, არა იმიტომ, რომ ვისმეს ხმლით შებრძოლებოდა, არამედ ეგზარხოსის ქონებათა დასაცავად.

ნუ თუ არ იციან, რომ შენობა ქართულ ეკლესიის საკუთრებაა? როგორც ვიცით, იგი 1847—8 წლებში აშენებულ იქმნა. მისი ხარჯი სინოდის ბრძანებით გასტუმრებულ იქმნა საქართველოს საეკლესიო თანხიდან? მაშ რას გვედავებიან? რა გაძარცვა? იქნებ ის, რომ ყოფილ ეგზარხოსის ნადგომში აღმოაჩინეს უდიდესი სიმდიდრე... კედელზე ჩამოკიდებული ხუთი სურათი რომანოვთა საგვარეულოდან, მათ შორის მეფისაც ან და იქნებ ნიკონის გასისხლიანებულ ბარტყულებს ცდილება ჩვენი თბილელი მიტროპოლიტი? ღმერთმა გვაშოროს! ყველა ეს სიკეთე ხელუხლებლად შეუძლიანთ მიიღონ საშვილიშვილო შესანახად! ჩვენს სამღვდელოების საწყალი გრძნობებით შეძენილს კი ნუ გვედავებიან! დასასრულს, ყოვლად უსამღვდელოეს თბილელ მიტროპოლიტის ასეთი ნაბიჯი კი არ უნდა აშფოთებდეს დღეობით მთავრობას და სამინისტროს, არამედ თვით მიტროპოლიტ პლატონისა, რომლის კეთილ-სინიდისიერებას აქაც ხომ იცნობდნენ, იცნობენ კიდეც სანუკვარ სურათების აღმოჩენის შემდეგ.

დ. კახრაძე.

ძუკუ ლოლუას სიმღერა-კონცერტი

შაბათს, 26 მარიამობისთვეს, ქართულ კლუბის საზაფხულო დარბაზში, დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდის მიერ ძუკუ ლოლუას ლოტბარობით გამართულ იქმნა მეტად საინტერესო და შინაარსიანი კონცერტი. კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო. მთელი დარბაზი გაჭედილი იყო. არც ერთი ადგილი ცარიელი არ დარჩენილა, „ორკესტრი“-ც ხალხით იყო სავსე, და ბევრიც უკან გაბრუნდა უბილეთობის გამო. დიდი მადლობის ღირსია ქართველი საზოგადოება, რომ მათ ასე კარგად შეიგნეს ხალხური ხოროს მნიშვნელობა და ღირსეული ყურადღებით მოეპყრნენ დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ გუნდს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველის ძარღვში არ დამშრალა მჩქეფარე სისხლი მამა-პაპისა და ჯერ კიდევ, ისევ მაგრად უცემთ მკერდში ქართველური გული.

ეს დაგვიმტკიცა ჩვენ ქართველ საზოგადოებამ, როდესაც იგი ასე ბლომად დაესწრო მეგრულ-აფხაზურ ხალხურ გუნდის მიერ გამართულ კონცერტს.

ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრო ამ საღამოს არა მარტო იმიტომ, რომ სიამოვნება ეგრძნობინებინა ძუკუ ლოლუასთვის არამედ იმიტომ, რომ მოესმინათ ძველთაგანვე გადმოცემული სიმღერები.

დამტკბარიყვნენ მისი სილამაზით და გაეთვალისწინებინათ ჩვენი ისტორიული წარსული თუ როგორ მღეროდნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში სხვა და სხვა დროს, მაგალითად რა სიმღერით მოჰყავთ მეფე დედოფალი სამეგრელოში და აფხაზეთში. როგორი ჩვეულება იყო სამეგრელოში ბატონ-ყმობის დროს, რა სიმღერა ქონდათ ყანის მუშაობის დროს, ახალ წელიწადს, აღდგომას, „მაყრული“, „ნადური“ „საცეკვაო“ და სხვა.

სავსე დარბაზი სიამოვნებით ისმენდა ყველა ამ სიმღერებს და განუწყვეტელი ტაშით აჯილდოვებდა პატივცემულ ძუკუ ლოლუას, და მადლობას უძღვნიდა მას იმ შრომისათვის, რომელიც გასწია ლოტბარმა ხალხში გაფანტული სიმღერების შეკრება-გადმოცემისათვის. იმედია ბ. ძუკუ უფრო ენერგიულად შეუდგება ამ საქმეს, გაამდიდრებს გუნდს უფრო მეტი-ნაირნაირ სიმღერებით, რომელიც ჯერ კიდევ ბლომად არის გაბნეული დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და უფრო მომზადებული, მეტის ენტუზიაზმით ისევ წარსდგება საყვარელ ქართველების წინაშე და მაშინ იგი გაცილებით მეტს სახელს მოიხვეჭს და პატივცემას დაიმსახურებს, უეჭველად მათ წინსვლასა და გამარჯვებას.

გუნდის მიერ შესრულებულ სიმღერებზე ვიტყვით, რომ იგი იყო ბ. ძუკუ ლოლუას ენერგიულ მუშაობის ნაყოფი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ძლიერ ახალგაზრდაა, მაინც დახელოვნებულ და მეცადინე ლოტბარის წყალობით მან ღირსეული პატივისცემა დაიმსახურა ქართველ საზოგადოებაში და მეტად ასიამოვნა იგი. ოციოდე სიმღერა, მეგრული, გურული, აფხაზური და სვანური ყველა კარგად იქნა ასრულებული, ყველას ბუნებრივობა ეტყობოდა და ნაძალადევი არა იყო რა, მაგრამ ამათში განსაკუთრებით კარგად იქნა ასრულებული მეგრული სიმღერა „სი ქოულ ბატა“, სადაც უიმედობით დაჩაგრული მწირი ჩივის თავის მარტოობას და შესჩივის თავის თანამგზავრს, შენ მიდიხარ და მე კი მტოვებო, აგრეთვე კარგად იქნა ასრულებული მეგრული „მა დო ჩქიმი არაბა“ სადაც შუა ღამისას შარა გზაზე მიმავალ მეურმე გულამოსკვნესით მღერის და მოსთქვამს, რომ „მე და ჩემი არაბა (ურემი) მივსრიალებთ და მივდივართო. კარგი იყო გურული „ჩემო ნათლის დედაო“ საერთო სიამოვნებაში დისონანსი შეიტანა „აღზრდეს გმირთ გმირის“ ასრულებამ, ვერ გავიგეთ, რა საჭირო იყო იქ ეს არა კავსაძის გუნდის შესაჯიბრებლად. საერთოდ გუნდმა მოვალეობა ღირსეულად მოიხადა, ხალხი ტაშით და „ვაშას“ ძახილით მიეგება ძუკუ ლოლუას. დაბოლოს კარგი იყო გუნდის მიერ ასრულებული ლეკური, რომელიც საზოგადოებამ ორჯერ გაამეორებინა. ღამის 12 საათზე საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

გენო.

კახეთში*)

ალავერდი

(დასასრული)

ალავერდიდამ ჩვენ გვინდოდა მოვხვედრილიყავით რაფიელ ერისთავის სამშობლოს ქისტაურს, მერე აწყურის თეთრ გიორგის, რომელიც მაღლიდამ დაჰყურებს მთელს მიდამოს, მაგრამ მოქანცულობისა და უდროობისა გამო გავწიეთ პირდაპირ იყალთოსკენ, იმ სოფლისაკენ, რომელიც გრემთან ერთად ითვლება საქართველოს უწინდელ უმაღლეს განათლების კერიად. გზა-გზა ვნახეთ მშვენიერი ადგილები, გავითვალისწინეთ ის გმირები, რომელთაც ღვაწლი დაუდვიათ ამ ქვეყნის თავისუფლების დაცვისთვის, ხოლო სამწუხაროდ, ის კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ალაზნიდან გამოეყვანათ რუ მოსარწყავად ამ ადგილებისა, რომელთაც უწყლობის გამო ძლიერ უჭირთ გვალვიან წლებში.

მივედით იყალთოში, გავიარეთ იყალთოს ხევი და შევედით გალავანში. სამი ეკლესიაა და სამივე შიგნიდან და გარედან აგრეთვე თეთრად გალესილია. ნალესს დაუფარავს ყველა მოხატულობა, თვით ლუსკუმა ქვაზე გამოყვანილი ანგელოზები და მის ახლო წარწერაცა.

დიდი ეკლესია სიგრძით არის 8 საჟენი და სიგანით 6 ს. მკვიდრ სვეტებზეა დაყრდნობილი, აგებულია მაცხოვრის სახელზე. მის კანკელის წინ სამხრეთის მხრივ ჰმარხია ზენონ იყალთოელი. იქვე უჩვენებენ ცნობილ იბად ვაჩნაძის ძის არსენის საფლავს. ეს ის არსენია, რომელიც იყო დავით აღმაშენებლის მოძღვარი და რომელმაც აქ დააწესა უმაღლესი სასწავლებელი, აკადემია. ეკლესიის მცველ დავითმა გარეთ გვიჩვენა თვით სახლი აკადემიისა და ერთი ოთახი, რომელსაც თურმე ჰქვია „შოთა რუსთაველის სენაკი“ (ჩვენში ასეთი ცნობილი ძველადგან, ირწმუნებოდა დავითი). სახლი—აკადემია მიდგმულია სამხრეთ გალავანზე და დღეს თითქმის ჩამონგრევია, ზოგან კედლებიც მორღვევია.

ეკლესიაში ვნახეთ რამდენიმე შესანიშნავი ნივთი, სხვათა შორის, სახარება ძვირფასის ყდით, დაბეჭდილი საჩხერეში 1817 წელს სახლთუხუცის წერეთლის საფასით, მაცხოვრის ხატი წარწერით: „მე იყალთოელმა ზამთარაულმა ვეფხვიამ და ჩემმა შვილმა ხიხანამ, იოანემ და გიორგიმ შეაწერეთ ესე ხატი კარსა ღვთისმშობლისა ეკლესიისასა ჩვენად მოსახსენებლად ქორონიკონს ფუბ“ (1784 წ.).

მაცხოვრის ხატი, შეწირული ბოდბელ იოანეს (მაყაშვილის) მიერ 1799 წელს.

ბოდბელის იოანეს კონდაკის ბოლოს ქორონიკონებია:

მეფე ირაკლი+იანვრის 16.
დედოფ. დარია იშვა ივლის 6.
იულონ იშვა ივნის 4
ვახტანგ იშვა ივნის 22.
მირიანი იშვა აგვისტ. 12.

ეკლესია მთებ შუაა იყალთოს წყალზე. თვით სოფელი ცოტათი დაშორებულია. ამ სოფელში ცხოვრობენ თავადი მაყაშვილები. მათ დახოცილთა საფლავებით სავსეა მონასტრის ეზო.

იყალთოდგან გავემგზავრეთ შუამთისკენ და გზა-გზა ვნახეთ შიოს მონასტერი, მხატვრობიანი, ფარღალალა, მრავალნაირად დაზიანებული, გათხუპნული მნახველების წარწერებით. შენობა საკმაოდ მოზრდილია, წვრილის სარკმლებით. კამარიდად გადახურული. ზედვე მიშენებული აქვს სხვა შენობები. გარეშემო ჰქონია ვრცელი ზღუდე. არე-მარე თვით ზღუდე საყდრებინად ბარდს დაუბურია და ეს ფრიად აძნელებს მის დათვალიერებას. აქედგან მოკლე გზით ჩამოვედით თურდოს ხევში და ავედით შუამთაში, ხოლო მეორე დღეს ჯერ ისევ ბნელოდა, რომ თელავის გზას დავადექით. თან მოგვდევდა მონასტერში გამოზრდილი თუში ლევან ღუდრაძე, ცქვიტი და მალხაზი ქაბუკი. თელავში, რომ შემოველით, სოფლელებს ბაზარზე მოჰქონდათ ყოველნაირი სანოვაგე. ერთ ადგილას ქალაქელი ქალი (მყიდველი) და სოფლელი დედაკაცი (გამყიდველი) შეჰყვნენ ასეთ ლაპარაკს:

— რაა, რომ ეგრე ძვირად აფასებ ვარიკებს?

— ძვირი კი არა, ძალიან იაფია!

— მაგათი კი ფასი 50 კაპეიკია და, თუ გაჰქირდა, სამი აბაზი.

— თუ თქვენი დამპალი ორ-შაურიანი მიტკალი ახლა ფასობს ორ მანათამდე, ჩემი ცოცხალი საქონელი რატომ არ ეღირება ექვსი-შაური აბაზი?

— მაინც ძვირია.

— მე ნდებოდეთ კარგი. გეძვირებათ, ნუ იყიდით.

გამობრუნდა და თავისთვის წაილაპარაკა: „გეყოფათ ყვლეფა. ვნახოთ ახლა ვის დაუწვრილდება გაბერილი მუცელი?

ჯერ ისევ ადრე იყო და საბაზრო მოედანი კი სასულიერო სასწავლებლის ქუჩაზე გავსილიყო სოფლელებით, უფრო მეტად—ქალებით. ზოგს მოჰქონდა ქათამი, ზოგს ხილი, ბოსტნეული, წინდები და სხ. იდგა ყიჟინა მყიდველ გამყიდველთა.

მივდიოდი საჩაიესკენ, რომ ბაღის კარებში შემხვდა მღვდ. დ. დეკანოზიშვილი, რომელიც მიეჩქარებოდა ბაზრისკენ სანოვაგის საყიდლად. საჩაიეში წყლარტე პური მოგვიტანეს, მე მას ვერ მოვეკარე და ვაგზლის გზას დავადექ. დამეწია იგივე მღვდ. დეკანოზიშვილი და ჩავიარეთ კურდღელაურის ეკლესიისკენ მუსაიფით. აღმოჩნდა, რომ ჩემი მოსაუბრე ფრიად ნაკითხი და მცოდნე კაცი ყოფილა და ამასთანავე მისტიციზმის მოყვარე და მიმდევარი. მისი გრძელი წერილი „ფიქრნი სანატრნი და ფიქრნი შავად მღელვარნი“ ანუ „ნ. ბარათაშვილი როგორც მამულიშვილი“ იკითხება „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№ 26 და სხ.). გზა-გზა ჩემ კითხვაზე: „რად ჰქვიან კურდღლაურს ეგ სახელი?“ მიამბო ძველი გადმოცემა:

გომბორზედ უწინ მეგვარან ბატონები. კურდღელაური მაშინ ყოფილა ჯაგნარიანი, კურდღლიანი ადგილი. დრო-და-დრო აქ გამოდიოდნენ ის ბატონები და კურდღლაობდნენ. შემდეგ აქვე გაიკეთეს ქოხები და აქვე დასახლდნენო. ასრე ნელ-ნელა გაშენდაო ეს სოფელი კურდღელაური.

თან დაუმატა ეს ცნობაც. აქ ცხოვრობენო ჩუბინაშვილები. ირაკლი მეფეს თურმე უყვარდა ამ ჩუბინაშვილებში ჩამოსვლა. გამობრძანდებოდა-რა მეფე საკურდღლაოდ, ჩამოუვლიდა ჩუბინაშვილს და ეტყოდა „აბა ამაღამ შენსას ვართო“ და წავიდოდა. მერე მართლაც ეწვეოდა თავის ამალით და კაი დროს ატარებდა ერთგულ ჩუბინაშვილთან. შემდეგში, რუსობას რომ აჯანყება მოხდა, მოთავედ იყო ეს ჩუბინაშვილი, მაგრამ იგი შეიპყრეს და თავის კარების წინ ხეზე ჩამოჰკიდეს.

მ. დიმიტრი შებრუნდა თავის ეკლესისკენ, და მე კი გადმოველ ვაგზალზე და რკინის გზის მატარებლით გამოვწიე ტფილისისკენ. ვაგონში მჯდომარე ვფიქრობდი ჩემთვის: ერი, რომელმაც შექმნა ისეთი ბუმბერაზები, ვით ალავერდი, სვეტიცხოველი (მცხეთაში), სამთავისი, სიონი (ატენისა), ჯვარის-საყდარი (მცხეთაში), გელათი, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ბედია, ზარზმა, ბანა და მრ. სხ., ერი, რომელმაც მოიცვა მთლიანი შენიერებანი—კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, ვიმეორებ ეს ერი საუკუნოა, ერი დიდია, საკაცობრიო კულტურის შემქნელთაგანი და ამ დიდ ერის ბრწყინვალე წარსული ბრწყინვალე შარავანდედითაც შეიმოსება ახლო მომავალში.

—

კახეთის შესასწავლად საჭიროა მოეწყოს წმინდა ქართული ექსპედიცია არქეოლოგებისა, მხატვრებისა, მეურნეებისა, ბუნების-მეტყველებისა, მადნის ინჟინერებისა, ეთნოგრაფოსებისა, და არა თუ მარტო კახეთის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებისა და მისადგურებისაც. საქართველოს უწინარეს ყოვლისა ქართველებმა უნდა შევისწავლოთ, რომ ნამდვილი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენს სამშობლოზე. ექსპედიციების გადადება დანაშაულობად ჩაგვეთვლება, ვინაითგან დღით დღე იმუსრება დიდებული ძეგლები, დღით-დღე იკარგება ქართულ კულტურის დამახასიათებელი ნაყოფები, განსაკუთრებული ხაზ-ჩრელები.

ჩვენს მოგზაურობას კახეთში ის მიზანიც ჰქონდა, რომ საეკლესიო მუზეუმისათვის შეგვეკრიფა სხვა და სხვა საარქეოლოგიო ნივთები. ამ საქმეში ხელი შეგვიწყო საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდემაც, რომელმაც წასვლისას გვიბოძა თავისი ბარათი წარწერით: „უმორჩილესად ვთხოვ მონასტრების და სამრევლო ტაძრების წინამძღვრებს, თუ მათ საყდრებში აღმოჩნდება ხელნაწერები ან ხმარებიდამ გამოსული საეკლესიო ნივთები და ხატები, გადასცენ საეკლესიო მუზეუმისთვის ამ ბარათის მქონეს მ. ჯანაშვილს“.

თანახმად ამისთანა განკარგულებისა არაშენდა-კოდალოს მღ. ფხალაძემ დაუთმო მუზეუმს 4 ნივთი, მათ შორის დროშა როსტომ მეფისა, მუკუზნის მღ. ახალკაციმ ძველად დაბეჭდილი კურთხევანი, მღ. დ. დეკანოზიშვილმა 4 ხელნაწერი, იყალთოს მღვდელმა საჩხერეში 1817 წელს დაბეჭდილი სახარება, ეპ. პირროსმა რამდენიმე ნაჭერი ძველი შუამთის ნაშთებიდამ. მ. ახალკაცისაგან წიგნი მივიღეთ, ხოლო დანაშთენებმა აღგვითქვეს გამოგზავნა.

ამავე მიზნით მოვიხილავთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც შეძლებისამებრ.

მ. ჯანაშვილი.

---

*) იხ. გაზ. „საქართველო“ № 189

კორესპონდენცია

გურიიდან

დაბა ლანჩხუთი ქალაქად დაამტკიცეს. არჩეულია კომისია, რომელმაც წინასწარი სათადარიგო მუშაობა უნდა იკისროს. ლანჩხუთი დიდი და თან კულტურული საზოგადოება იყო. სასურველი იქნება ქალაქი უბნის („ჩეთის“) სიფრიდმ არ გაიტაცოს და ქალაქი ისე შემოფარგლოს მოვლაც შეიძლოს და არც საზოგადოება დაჩაგროს. ლანჩხუთიც და ოზურგეთიც ეძებს სათავო კაცს. ქალაქები ისე გვემრავლდება რომ საჭირო იქნება კურსების დაარსება, საცა მოამზადებენ ქალაქის მოღვაწეებს.

—

ყველაზე საშური საქმე გურულებისთვის დაბების ქალაქებად გადაკეთება-კი არ არის, არამედ ერობის შემოღება, მარტო ერობა შესძლებს პოლიტიკურად დამთვრალ გურულების გამოფხიზლებას და სწორ გზაზე დაყენებას.

—

საქონლის ჭირი კვლავ მძვინვარებს*) მიაქვთ.

მეითლები ვერ უთავდებიან ჭირიან საქონლის ხოცვას და სათანადო მოწმობის გაცემას. ამას ზედ დაერთო შინაური ფრინველის საშიშარი ჭირიც, რის გავრცელებას ხელს უწყობს ჩვენი უკულტურობა და შური: ძლიერ ბევრი მკვდარ ჭირიან ფრინველს მეზობლის ეზოში აგდებს, ან წყალში (მდინარეში) რა არის მე თუ არ მეყოლება ნურც მეზობელს ეყოლება.

—

მარიამობისთვის 12-დან მუდმივი წვიმები გადაიღო და სიცხეები დაიჭირა, მაგრამ რაიმე ჭირნახულის გამობრუნების იმედი მაინც არ არის. ყურძენი აუცილებლად დაიშრება. ყურძენს სულ არ ახია, ამის გამო ადესა ფუთი 12—15 მ. ფასობს. ფუტკრები შიმშილის გამო დაიხოცა.

აბრეშუმის ხმელი პარკი ფუთი სამას მანეთად იყიდება. თხილი 30 მანეთზე ავიდა. ვაშლმაც გვიღალატა.

აპ. წ—ძე.

ქართლიდან

სოფელი ბრეთი. შუაგულს ქართლში მდებარეობს და სადგურ ქარელიდან, აგარადგან და ზამთრობით სადგურ გომიდგან ცხინვალისკენ მიმავალი ამ სოფელს ვერ აუქცევს. ამიტომაც იქ უცხო ხალხის მოძრაობა შეუჩერებელია და თუ მტკვარზე ხიდი გაიმართა, რაც უკვე გადაწყვეტილია და ხაზინიდგან ფულიც არის გადადებული, გორზე კი არ გაივლიან ცხინვალისკენ მიმავალნი, არამედ ბრეთზე ქარელიდგან, რადგან აქედან 10 ვერსით ახლოა ცხინვალი.

ბრეთი საქართველოს დაწინაურებულს სოფელს თუ გვერდში ვერ ამოუდგება, უკან მაინც არ ჩამორჩება. აქვს გახსნილი სკოლა, მომხმარებელი საზოგადოება, მისწრაფება საერთო საქმიანობის შემოღებისა, ემჩნევა მეტი სისუფთავე, ვიდრე მაგალითად—დირბს. ყოველი ეს ხომ მომასწავებელია სოფლის წარმატებისა. ბევრს სიკეთესთან ბრეთს ორიოდე ნაკლიც ემჩნევა და მწადია ბრეთელებს განვუზიარო. „მოყვარეს პირში უძრახეს და მტერს პირს უკანაო“—ნათქვამია და მეც ასე მინდა მოვიქცე.

ბრეთელობა გადახალისებულს და განახლებულს ცხოვრებას შურ-გაშლით დახვედრიან და სხვა სოფლებს არ ჩამორჩენილან. სოფლის ძველი მმართველები გადაუყენებიათ და განახლებული ცხოვრების ხელისუფლებათ საიმედო პირნი დაუყენებიათ. ესენი არიან: ვარო ფიტარიძე, მიტრო თედიაშვილი, ვანო ზექალაშვილი და იასონ ედილაშვილი. საყურადღებონი არიან პირველი ორნი თავიანთი მოქმედობით, დაუზარლობით; თუმცა მეორენი უფრო ნაყოფიერი შრომისანი გვგონია, როგორც ვიცით წარსული მათი მოქმედებიდგან. ეხლა სოფლის მოვლა-პატრონობა ამ ოთხს ევალება, ამ ოთხს ეკისრება ბრეთის ავან-ჩავანობა, ყოველი კეთილი საქმე მათ ხელთაგან უნდა გამოდიოდეს და თადარიგის მიმცემნი უნდა იყვნენ; ყოველი ავი საქმის ბოლოს მომღებნი ესენი უნდა იყვნენ. პეტროგრადიდგან კი არ შემოგვითვლიან ამას იქით (ეს სრული იმედი მაქვს) თქვენი შინაური საქმე ასე თუ ისე მოაწყვეთო. ჩვენთვის რაც ავია და კარგი, ჩვენ უფრო არ ვიცით ვიდრე უცხომ; ჩვენთვის რაც საზარალოა და მავნებელი, ჩვენთვის რაც სასარგებლოა და რაც ნაყოფიერი იქმნება ყოველი ეს ჩვენ თუ არა, გადამთიელს საიდან ეცოდინება; ჩვენ ჩვენს თავზე გული თუ არ შეგვეტკივა, სხვას რაში ვენაღვლებით!? პეტროგრადელებმა რა იციან, რომ ბრეთელები თავიანთ ღორებს მწყემსებს არ აბარებენ—რა არის, საწყალსური არ გაგვეფიცხოსო—და უპატრონოდ სოფელში მოხეტიალე ღორები ბაღ ვენახებს, ჭირნახულს აოხრებენ.

[illegible] ფუ ამდენი სხვა პატრონობის ქვეშ ყოფნა და შინაური საქმეები ჩვენ გავარიგოთ. აგრეთვე სისუფთავე, სიწმინდე, სულ უფრო სუფთაობისაგან წარმოსდგება და ამ მხრივაც დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს იმ ამორჩეულ პირთ. უეჭველად პეტროგრადიდან უნდა შემოგვეთვალონ, რომ სოფელ ბრეთში შიგ შუა სოფელში, რუდგან ნუ იღებთ ტალახს ალიზის საკეთებლად, თორემ რუ მეტად გაგანიერდა, ჩაღრმავდა, ყოველთვის ლაფია და წუმპე, მდგარი წყალი ლპება და ეს ხელს უწყობს ყოველს გვარს ავადმყოფობას?

ვიმეორებ, რაც მავნებელია სოფლისათვის, რაც მაზარალებელია საზოგადოებისათვის, ყოველი ჩვენ უნდა ავიცილოთ თავიდგან, ჩვენვე, თორემ უცხო ჩვენთვის თავს არ შეიდებს. ამორჩეულმა კაცებმა ყოველიფერს თვალყური უნდა ადევნონ. პირველი გაფრთხილების შემდეგ უნდა აჯარიმონ გაუგონარი და ჯარიმა კარგი იქმნება იკრიფებოდეს ერთს ადგილას „ბრეთის ფონდის“ დარქმევით. შემდეგ ამ ფონდიდგან სოფელი საჭიროების დროს ისარგებლებს—ან ქალაქში იქმნება დაბარებული ბრეთის კომისარი თუ დელეგატი აუცილებელი საქმისათვის და აი ამ ფულიდგან დაიხარჯება. ჯერ-ჯერობით ბრეთს აქვს მხოლოდ 7 მანეთი, რომელიც დარჩა მკათათვეში გამართულ წარმოდგენიდგან, რომელიც მოაწყვეს ბრეთელმა მოზარდმა და საგარაკოდ მისულ მოწაფეობამ. ეს ფული ინახება ბრეთის კოოპერატივში და იქავე კარგი იქმნება შეგროვდეს ხოლმე შემთხვევით მოკრეფილი ფული ზემოხსენებულის მიზნით.

ბრეთს შინ თითქმის არა ჰყავს ინტელიგენცია. ვინც არიან სამსახურად გარეთ გასულან. ბრეთელები არც ისე ჩამორჩენილნი არიან, რომ თავიანთვის სასარგებლო საქმიანობაზე უარი სთქვან და არ შემოიღონ, ოღონდ კი ურჩიოს ვინმემ, მოაწყოს საქმე და ისინიც დაჰყვებიან. დასამტკიცებლად, აი, ურჩევია მღვდელს მ. ედილაშვილს მომხმარებელი საზოგადოების გახსნა და ხალხი დაჰყოლია, გაწოდებათ ფული და დაუარსებიათ. სხვა კეთილ საქმეს, თუ კი ვინმემ გაუხსნა, განა გაექცევიან!? ოღონდ მრჩეველი იყოს და საქმის გამკეთებელი. აი, ამიტომ ბრეთის გარეთ გასულ ინტელიგენციას ევალება წელიწადში ორ-სამ-ჯერ ორიოდე დღით შეიკრიბონ ხოლმე თავიანთ სამშობლო ბრეთში და თავიანთ მოძმე ბრეთელებთან იქონიონ მსჯელობა მიმდინარე საქმეების შესახებ, თუ უნდათ, რომ თავიანთ სამშობლოს რამე სარგებლობა მოუტანონ. მერე ეს ბატონები არც ისე ცოტანი არიან და სრული იმედი მაქვს ბრეთს დაეხმარებიან. ესენი არიან: ზ. ედილი, სოსო ედილაშვილი, ივანე, იერემია, ესტატე, სოსო გიორგის ძენი ავალიშვილები, ივანე ვასილის ძე ავალიშვილი და აგრეთვე ბრეთის შვილებათ ითვლებიან ძმანი ყიფშიძენი—გიგო, შაქრო და ილიკო. სიტყვა არ უნდა ბრეთელები ამათ სიტყვა-დარიგებას ძირს არ დაუშვებენ და ესენიც მოვალენი არიან თავიანთ სამშობლოს დაეხმარონ. თუ ამათ მასწავლებელს მიუმატებთ, მაგრამ ბრეთს ბედი არ სწყალობს მასწავლებლით. რაც სკოლა გაიხსნა (4—5 წელიწადია რაც არსებობს) უკანასკნელი მასწავლებელი მესამეა და არცერთ მათგანზე ვერავინ ვნახე მადლიერი. მე კი მეგონა უკანასკნელი უფრო დაიმსახურებდა ხალხის სიყვარულს. არც ერთმა მათგანმა ბრეთის საქმეებში თავიანთი კვალი არ დასტოვა. ეკითხები ხალხს—რას აკეთებდა მასწავლებელი ქალი, თქვენშორის არ დადიოდა, არას გელაპარაკებოდათ, არას გირჩევდათ? ვერც ერთისაგან დამაკმაყოფილებელს პასუხს ვერ მიიღებთ. არა, გაგონილა და თქმულა, კაცს მასწავლებელი ერქვას და გაზეთს არ კითხულობდეს. განა რა გასაჭირია გასულიყო მასწავლებელი ხალხში და აეხსნა ახლად შემოსული სიტყვები: სოციალიზმი, დემოკრატი, მონარქია, კონსტიტუცია, ფედერაცია, ავტონომია, რევოლუცია... სულ რაღაც ათიოდ სიტყვა. რამდენი დრო-ჟამი მოუნდებოდა ამ სიტყვების ახსნას ზერელეთ მაინც, გადაკვრით მაინცა. ესეთი მასწავლებლები ვერც კლასში იქმნებოდნენ ნაყოფიერი ქცევისანი. ამიტომაც მკათათვეს შუა რიცხვები იყო, რომ სოფელმა თავიანთი მასწავლებელი მამაკაცად დაითხოვა სოფლიდან.

ი. ბ.

---

*) სადგურებიდან სიმინდი ზურგით

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

სტამბა „[illegible]“ [illegible]